

# ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კონდიციონირების საკითხი მოგვარებული არაა



ერთიანი ეროვნული გამოცდები წელს 22 საგამოცდო ცენტრში ჩატარდება. საგამოცდო ცენტრები ბათუმში, ფოთში, ბუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისში, ახალციხეში, გორში, თბილისში, რუსთავსა და თერაპია განთავსებული. ერთიანი

**ეროვნული გამოცდებისთვის 39 000 მდე აბიტურიენტიარეგისტრირებული.**

ერთიანი ეროვნული გამოცდების მოსამზადებელ პროცესს 147-ე სკოლაში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი დაესწრო, რომელმაც 2018 წლის ერთიანი გამოცდების ძირითად სიახდებებზე ილაპარაკა.

მიმინოშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის ინიციატივა იყო ყველა საგამოცდო ცენტრში ყოფილიყო კონდიციონერები, პირობების რეჟიმში ამ ეტაპზე განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურის გამო მხოლოდ რუსთავში მოეწყო.

კონდიციონერების საკითხს დღეს გამართულ ბრიფინგზე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი, მამუკა ბახტაძე.

*„ეს გარემოება არის ძალიან ცუდი. დღეს ჩვენ მთავრობის სხდომაზე აუცილებლად ვისაუბრებთ თუ როგორ შეიძლება ეს უმოკრეს ვადებში მოგვარდეს. ეს იყო საკითხი, რომლის დაგეგმვაც უკეთ შეიძლებოდა. გავერკვევი დეტალებში თუ რატომ დადგა ასეთი გარემოება“, – განაცხადა ბახტაძემ.*

ეროვნული გამოცდებისთვის საგამოცდო ბარათების ამობეჭდვა 22 ივნისიდან დაიწყო, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია საგამოცდო ბარათის მიღებისა და გამოყენების წესზე, ასევე თუ როდის უნდა მივიღეს აპრიკანტი საგამოცდო ცენტრში. საგამოცდო ცენტრებში მისასვლელად დაინიშნება დამატებითი საზოგადოებრივი ტრანსპორტი სტანდარტული სამგზავრო საფასურით.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2 ივლისს, 8 საათზე დაიწყება.